



## მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 6 მაისი, 2015 წელი

დრო: 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
2. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
3. ნიკოლოზ ხუნძიკაშვილი - „ლომისი“ - ს კორპორატიული დირექტორი
4. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
5. ნათია დაღელიშვილი - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
6. ლელა ბერძული - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
7. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
8. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
9. ივანე ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
10. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
11. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
12. გიორგი ონიანი - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
13. მიხეილ კუკავა - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

## განსახილველი საკითხები:

1. ლუდზე სააქციო გადასახადის ზრდა და მისი კავშირი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებთან ნიკოლოზ ხუნდაკიშვილი - „ეფეს ლუდსახარში“ - სააქციო საზოგადოება ლომისის კორპორატიული დირექტორი
2. სურსათის უვნებლობის საკითხები ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, ლია თოდუა, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორი
3. დისკუსია თემაზე: პლატფორმის საქმიანობების უკეთესი კოორდინაციისათვის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებასთან მიმართებაში პლატფორმის წევრ ორგანიზაციათა საქმიანობების შესახებ კრებითი ინფორმაციის შექმნა, ფასილიტატორი - ლია თოდუა

შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ჯგუფის წევრებს წარუდგინა მოწვეული სტუმარი, სააქციო საზოგადოება ლომისის კორპორატიული დირექტორი. აღნიშნული შეხვედრის ჩატარების ინიციატივა წამოაყენა საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო - ს წარმომადგენელმა სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმდინარეობისას, ჯგუფის წევრებმა გაიზიარეს შემოთავაზებული წინადადება და მხარი დაუჭირეს მსგავსი შეხვედრის ორგანიზებას. შეხვედრის მიზანს წარმოადგენს ლუდის მწარმოებელთათვის მთავრობის მიერ აქციზის გაზრდის საკითხი.

სააქციო საზოგადოება ლომისის კორპორატიულმა დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია „ლუდის აქციზის ზრდის ზოგადი მიმოხილვა და მოსალოდნელი შედეგები“. მან განაცხადა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოში, როდესაც გაერთიანდა ინდუსტრია და დაიწყო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა მთავრობისთვის იმ შედეგების გაცნობას, რაც მოჰყვებოდა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ახსნილ იქნა, როგორც ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების ნაწილი.

მან აღნიშნა, რომ ქართული ბიზნესისთვის ევროკავშირის ბაზარზე შესვლა არის უალტერნატივო. კომპანია არის ასოცირების ხელშეკრულების ყველაზე დიდი დამცველი და მათი მიზანია ევროკავშირთან დაახლოვება. მან ასევე ისაუბრა, რომ DCFTA არ არის ხარჯი, ეს არის ინვესტიცია, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას დაასაქმოს უფრო მეტი ადამიანი.

მოწვეულმა სტუმარმა დამსწრეებს გააცნო კომპანია და აღნიშნა, რომ იგი არის წარმატებული საერთაშორისო ინვესტორი საქართველოში. ოფიციალური სახელია სააქციო საზოგადოება „ლომისი“, რომლის მფლობელია ჰოლანდიური კომპანია Efes Breweries International N.V. -

Anadolu Efes, იგი არის Anadolu Group-ის ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანია. Anadolu Efes არის სტამბულის საფონდო ბირჟის ლისტინგის კომპანია, რომელიც არის ლონდონის საფონდო ბირჟაზე ქვოტირებული, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების კომპანია - SABMiller 24% წილის მფლობელი.

2008 წლიდან Anadolu Group-მა განახორციელა USD 150 მლნ ინვესტიცია კომპანია „ნატახტარის“ შექმნასა და მოდერნიზაციაში, USD 200 მლნ ინვესტიცია ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში (დასრულდა 2014 წ.) Anadolu Group-ი არის საქართველოში USD 350 მლნ-ით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტორი. 2008 წლიდან საქართველოს ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადებმა შეადგინა GEL 250 მლნ-ზე მეტი. სს „ლომისი“ შედის მსხვილ გადამხდელთა 50-ეულში.

სს ლომისის კორპორატიულმა დირექტორმა ისაუბრა ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებზე, ალკოჰოლის აქციზზე ევროკავშირის ქვეყნებში და მოსალოდნელ შედეგებზე. ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებია: თანამშრომლობა ბიზნეს სექტორთან, რეგულარული კონსულტაციები, პროგნოზირებადობა და გამჭვირვალობა, ცვლილებების/რეგულაციების მიღების დასაბუთება, გონივრული დროის პერიოდი, „ევროკავშირის ტიპის მმართველობა“ (“EU Governance”) და პროგნოზირებადი ბიზნეს გარემო. მან ასევე ისაუბრა ისეთ მოსალოდნელ შედეგებზე, როგორცაა: პროდუქციის გაძვირება, ბაზრის შემცირება, წარმოების შემცირება, მუშახელის შემცირება, ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება, ინვესტიციების შემცირება, ბიუჯეტში შემოსულობების შემცირება და იმპორტის გაზრდა.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს წარუდგინა პრეზენტაცია თემაზე “ასოცირების ხელშეკრულების გავლენა სურსათის უვნებლობაზე“. მან ისაუბრა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესახებ, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც რეგულირდება მსოფლიო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO, World Trade Organisation) ფარგლებში რეგულირდება მსოფლიო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები. მან ჩაანაცვლა და ამავე დროს გააფართოვა ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება (GATT). იგი მოიცავს არამარტო საქონლით, არამედ ასევე მომსახურებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ბარიერების გაუქმებას, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაზე შეზღუდვების გაუქმებას.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა ასოცირების ხელშეკრულების და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის“ შესახებ. მან განიხილა მეოთხე კარი, რომელიც ეხება ვაჭრობას და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხებს, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობა და

თანამშრომლობის სხვა სფეროები. მან დამსწრეებს წარუდგინა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ -ს ინტერესთა შემდეგი სფეროები : ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია, შესაბამისობის შეფასება, სურსათის უვნებლობა, მცენარეთა და ცხოველთა ჯანმრთელობა საჯარო შესყიდვები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, კონკურენციის დაცვა, გადასახადები, სტატისტიკა, გარემოს დაცვა, კლიმატის დაცვა, სამეწარმეო კანონმდებლობა, კორპორაციული მართვა, აუდიტი, ბუღალტერია, ფინანსური სერვისები, მომხმარებელთა დაცვა, დასაქმება (მეწარმის სოც-პასუხისმგებლობა). წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს ასევე წარუდგინა ევროკავშირის აქტებთან დაახლოების ცხრილი, რომელმაც ჯგუფის წევრების მხრიდან გამოიწვია დაინტერესება და სთხოვეს მისი გაზიარება.

დამსწრეებმა იმსჯელეს მიმდინარე საკითხებზე, ორსაათიანი განხილვის შემდეგ კი ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.